I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა ექვემდებარება მშენებლობის მარტივ შეტყობინებას.

- დაინტერესებული პირი მიმართავს მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით. განცხადება იწერება მერის სახელზე, რის საფუძველზეც გაიცემა თანხმობა მერის მიერ ხელმოწერილი წერილის სახით.
- I კლასზე მშენებლობის შეთანხმება მოსაკრებლის გადახდას არ ექვემდებარება.
- განმცხადებელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

I კლასის მშენებლობაზე წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. პირადობის მოწმობის ასლი.
2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის საკუთრების შესახებ
3. არქიტექტურული ესკიზი 3 ეგზემპლარად, ელ. ვერსიით.
-
- თავფურცელი (ობიექტის დასახელება და მისამართი)
- განმარტებითი ბარათი
- შენობა-ნაგებობის ტექნიკური მაჩვენებლები (მიწის ნაკვეთის ფართობი, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ფართობი, შენობა-ნაგებობის ფართობი, მიწის ნაკვეთის სქემატური გეგმა მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული ზომების, ძირითად ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ნიშნულებს, მიწის ნაკვეთზე საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების და სხვა ასპექტების ასახვით);
- შენობა-ნაგებობის კლასის განმსაზღვრელ პარამეტრებს;
- შენობა-ნაგებობის ფასადების სქემატურ ნახაზებს (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული ზომების, ძირითადი ვერტიკალური ნიშნულების, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ჩვენებით, ასევე, ფასადებზე გამოყენებული ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალისა და მათი ფერების მითითებით);
4. საჭიროების შემთხვევაში, დამატებით წარდგენილი უნდა იქნეს:
-
- ა) მიწის ნაკვეთის არსებული მდგომარეობის ამსახველი სიტუაციური გეგმა სათანადო დეტალიზაციით (მდებარეობა საქალაქო ქუჩების მიხედვით) ან/და ორთოფოტოგეგმა;
- ბ) შენობა-ნაგებობის მახასიათებელი სქემატური ჭრილები (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული ზომების, ძირითადი ვერტიკალური ნიშნულების, გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ჩვენებით);
- გ) შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის სქემატური გეგმები (საკადასტრო საზღვრის პროექციის, ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული ზომების, ძირითადი ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით);
- მშენებლობის ნებართვა გაიცემა II, III და IV კლასის მშენებლობაზე. მშენებლობაზე მოსაკრებელის ოდენობა განსაზღვრულია საკრებულოს დადგენილებით. მშენებლობის განხორციელების ვადა განისაზღვრება სანებართვო მოწმობით.

მე-II, მე-III და მე-IV კლასის შენობაზე სანებართვო განაცხადი უნდა მოიცავდეს:

1. ინფორმაციას მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის (არსებობის შემთხვევაში) საკუთრების შესახებ;
2. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან ინფორმაციას განაშენიანების დეტალური გეგმის შესახებ;
3. წინასაპროექტო კვლევის შედეგებს;
4. არქიტექტურულ პროექტს
5. კონსტრუქციული სქემას/პროექტს
6. მშენებლობის ორგანიზების პროექტს;
7. საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევას
8. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – არქიტექტურული პროექტის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, კონსტრუქციული სქემის/პროექტის, აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს ან/და სერტიფიცირებული ექსპერტის დასკვნას;
9. სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;
10. საინფორმაციო დაფის ამსახველ ფოტოსურათებს.